# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 236

“10” ივნისი 2022 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, I კვარტლის კორპუსი №12-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.008.005.01.121) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის,61-ემუხლისმე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118¹ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას “ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, I კვარტალის კორპუსი №12-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.008.005.01.121) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 25 მაისის №22.782.835 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, I კვარტლის კორპუსი №12-ში, 36.00 კვ.მ. ფართის ბინა №121ა-ის (საკადასტრო კოდი: №01.19.27.008.005.01.121) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ზურაბი ჭიქინაშვილისთვის (პ/ნ. 01019065551) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე